ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3813710

ნომერი: AR1573470

თარიღი : 29.01.2018

გაცემის თარიღი : 12.02.2018

გაცნობის თარიღი : 12.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 67 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 67 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რეზო გელაშვილი პ/ნ 35001001365
- კოსტავას 67

ორგანიზაცია:
- შპს ესთეტიკ სერვისი კოდი: 205204615

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 29 იანვარს №AR1573470 განცხადებით მომართა რეზო გელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2011 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებით შეთანხმდა ქ.თბილისში, სექტორი - საბურთალო, კოსტავას ქ. №67-ში, შპს ,,ესთეტიკ-სერვისის'' საკუთრებაში არსებულ ფართში ანტრესოლის მოწყობის და ფასადის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2010 წლის 15 ნოემბრიდან 2011 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 28 მარტის №1097 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის ს არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებაში ბრძანებაში, კერძოდ: ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: საპროექტო საერთო ფართობად დაფიქსირდა 861.44 კვ.მ, საპროექტო სარდაფის ფართობად 301.41 კვ.მ, საპროექტო I სართულის ფართობად 202.80.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ სამსახურის 2017 წლის 04 სექტემბრის № 3514255 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებაში, კერძოდ: არსებული ანტრესოლის ფართობად დაფიქსირდა 184.37 კვ.მ, საპროექტო ანტრესოლის ფართობად 359.78 კვ.მ, არსებულ საერთო ფართობად 552.99 კვ.მ, საპროექტო საერთო ფართობად 863.89 კვ.მ.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: არსებულ საერთო ფართობად 552.99 კვ.მ-ის ნაცვლად 640.23 კვ.მ-ის, არსებული სარდაფის ფართობად -5.90 ნიშნულზე 86.39 კვ.მ-ის, არსებული სარდაფის ფართობად -3.10 ნიშნულზე 165.25 კვ.მ-ის, არსებული პირველი სართულის ფართობად 203.37 კვ.მ-ის ნაცვლად 204.22 კვ.მ-ის, საპროექტო ანტრესოლის ფართობად 359.78 კვ.მ-ის ნაცვლად 359.68 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ გადაწყვეტილებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის ს არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებაში, კერძოდ: არსებულ საერთო ფართობად დაფიქსირდეს 640.23 კვ.მ, არსებული სარდაფის ფართობად -5.90 ნიშნულზე 86.39 კვ.მ, არსებული სარდაფის ფართობად -3.10 ნიშნულზე 165.25 კვ.მ, არსებული პირველი სართულის ფართობად 204.22 კვ.მ, საპროექტო ანტრესოლის ფართობად 359.68 კვ.მ, ბრძანებიდან ამოღებულ იქნეს არსებული სარდაფის ფართობი - 301.41 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 ნოემბრის №01/2560 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge